

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო

განცხადება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების წარმოდგენის, აგრეთვე „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 14 თებერვლის №198 (ოქმი №186) გადაწყვეტილებით შეიქმნა ერთი საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც უფლებამოსილია საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შეიმუშაოს რეკომენდაციები სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“.

საბჭო შედგება არაუმეტეს 70 წევრისგან. საბჭოს არანაკლებ 10 და არაუმეტეს 20 წევრი უნდა იყოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მუდმივად მცხოვრები პირი. ამასთან, თითო რეგიონიდან წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 2 წევრი.

სამეურვეო საბჭო აგრძელებს წევრობის მსურველთა განცხადებების მიღებას 2011 წლის 1 ივლისის 18:00 საათამდე ელ. მისამართზე t.metreveli@gpb.ge უნდა წარმოადგინონ განცხადებები, რომელიც უნდა შეიცავდეს პირად ინფორმაციას და მოტივაციას, თუ რატომ აქვს სურვილი გახდეს აღნიშნული საბჭოს წევრი (არაუმეტეს ნახევარი გვერდისა).

წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე დაინტერესებულ პირთა კანდიდატურებს განიხილავს მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

საბჭოს წევრები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე (დამატებითი ინფორმაცია იხ. www.gpb.ge სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება №198).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“
სამეურვეო საბჭო